


ვაზის ლოკოკინა



ვაზის ლოკოკინა (*Helix Lucorum*), ხმელეთის ნიჟარიანი მოლუსკი მუცელფეხიანთა (*Gastropoda*) კლასისა. ნიჟარა მოყავისფრო-მოყვითალო შეფერილობისაა 2-5 მუქი ყავისფერი ზოლით. ნიჟარის სიმაღლე 35-50 მმ, ხოლო სიგანე 40-55 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. ვ. ლ. პერმაფროდიტი ცხოველია. წელიწადში რამდენჯერმე მრავლდება, ერთ ჯერზე 20-30 კვერცხს დებს. ცოცხლობს

3-5 წელიწადი. სქესმნიფობას აღწევს 2 წლის ასაკში. იკვებება მცენარის ცოცხალი ფოთლებით და ნაყოფებით. უმნიშვნელო ზიანი მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის. გავრცელებულია მთელ საქართველოში. ბინადრობს როგორც დაბლობ, ისე მთიან ზონაში. ძირითადად გვხვდება დასახლებულ პუნქტებსა და მის შემოგარენში, იშვიათად – ბუნებრივ ლანდშაფტებში. გლობალურად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში (ევროპასა და რუსეთის ევრ. ნაწილში ვ. ლ-ს უწოდებენ მის მონათესავე სახეობას – *Helix pomatia*). ვ. ლ. პოპულ. საკვებია მთელ მის გავრცელების არეალში, მ. შ. სამცხე-ჯავახეთშიც. ამ მიზნით მას ბევრ ქვეყანაში ხელოვნურადაც ამრავლებენ. ვ. ლ-ს უახლოესი მონათესავე სახეობებია ბუხის ლოკოკინა (*Helix buchi*) და გოდერძის ლოკოკინა (*Helix goderdziana*), რ-ებიც კავკ. ენდემებია. ბუხის ლოკოკინა გავრცელებულია მთელ საქართველოში, აფხაზეთის გარდა, და მცირედით იჭრება ჩრდილოეთ თურქეთისა და სომხ. ტერიტორიაზე.
